

## ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია NO. R (99) 22 ციხის გადატვირთულობის და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1999 წლის 30 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 681 - ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს სტატუტის მე-15 (ბ) მუხლის პირობების ქვეშ, მიიჩნევს რა, რომ ციხის გადატვირთულობა და ციხის მოსახლეობის ზრდა წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას ციხის ადმინისტრაციისათვის და კრიმინალური სისტემისათვის როგორც ადამიანის უფლებების, ისე სასჯელთაღსრულების ინსტიტუტების ეფექტური მენეჯმენტის მიმართულებით, მიიჩნევს რა, რომ ციხის მოსახლეობის ეფექტური მენეჯმენტი დამოკიდებულია ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ზოგადად დანაშაულებრივი მდგომარეობა, პრიორიტეტები დანაშაულის კონტროლში, სამართლის წიგნებში არსებული სასჯელების ფართო არჩევანი, მისჯილი სასჯელების სიმკაცრე, საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების გამოყენების სიხშირე და წინასწარი დაკავების გამოყენება, სისხლის სამართლის წარმომადგენლობების ეფექტურობა და პროდუქტიულობა და საზოგადოების დამოკიდებულება დანაშაულისა და სასჯელის მიმართ, ადასტურებს რა, რომ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავენ ციხის გადატვირთულობასთან ბრძოლას და ციხის მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას, საჭიროებენ ჩართულობას შესაბამის და რაციონალურ დანაშაულის პოლიტიკასთან, რომელიც პირდაპირ მიმართული იქნება დანაშაულის თავიდან აცილების და კრიმინალური საქციელის, კანონის ეფექტური აღსრულების, საჯარო უსაფრთხოებისა და დაცვის, სანქციებისა და ზომების ინდივიდუალიზაციის და დამნაშავეების სოციალური რეინტეგრაციის მიმართ, მიიჩნევს რა, რომ ასეთი ზომები თანხვედრაში უნდა იყოს კანონის უზენაესობით მართულ დემოკრატიული სახელმწიფოების ძირითად პრინციპებთან და უნდა ექვემდებარებოდეს ადამიანის უფლებების გარანტირების უმნიშვნელოვანეს მიზანს, რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებების ევროპულ კონვენციას და იმ სტრუქტურების პრეცედენტული სამართლით, რომელსაც მინდობილი აქვს ეს ფუნქცია, აღიარებს რა, რომ ასეთი ზომები მოითხოვს პოლიტიკური და ადმინისტრაციული ლიდერების, მოსამართლეების, პროკურორების და ზოგადად საზოგადოების მხარდაჭერას ისევე როგორც სასჯელის ფუნქციონირების, მასთან დაკავშირებული საპყრობილის ან არა საპყრობილის რეჟიმის სანქციებისა და ზომების და ციხეების რეალობის თაობაზე დაბალანსებული ინფორმაციის შესახებ დებულებებს, მხედველობაში იღებს რა ევროპულ კონვენციას წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების თაობაზე, აღიარებს რა რეკომენდაციის No (80) 11 წინასწარი პატიმრობის თაობაზე, რეკომენდაციის No (87) 3 ევროპული ციხის წესების შესახებ, რეკომენდაციის No (87) 18 სისხლის სამართლის გამარტივებასთან დაკავშირებით, რეკომენდაციის No (92) 16 საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების თაობაზე ევროპული წესების შესახებ და რეკომენდაციის No (92) 17 სასჯელის შესაბამისობასთან დაკავშირებით მნიშვნელობას, რეკომენდაციას უწევს, რომ წევრი სახელმწიფოების მთავრობებმა:

- მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა მათი კანონმდებლობისა და პრაქტიკის გადახედვისას, როდესაც განიხილავენ ციხის გადატვირთულობას და ციხის მოსახლეობის გაზრდას, გამოიყენონ ამ რეკომენდაციის დანართში გაწერილი პრინციპები;

- ხელი შეუწყონ ამ რეკომენდაციის და ციხის გადატვირთულობასა და ციხის მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებული პრობლემების ევროპული კომიტეტის მიერ შემუშავებული ანგარიშის შეძლებისდაგვარად ფართოდ გავრცელებას.

## **რეკომენდაციის No (99) 22 დანართი**

### **I. ძირითადი პრინციპები**

1. თავისუფლების ჩამორთმევა უნდა განიხილებოდეს როგორც უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელი სანქცია ან ზომა და შესაბამისად უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა დანაშაულის სერიოზულობა სხვა სანქციებისა და ზომების გამოყენებას აშკარად არაადეკვატურად გამოაჩენს.

2. ციხეში ყოფნის გახანგრძლივება უნდა იყოს გამონაკლისი შემთხვევა, ვინაიდან ნაკლებსაგულისხმოა, რომ იგი აგვარებდეს გადატვირთულობის პრობლემას. სახელმწიფოებმა, რომელთა ციხეების ფართი შეიძლება იყოს საკმარისი, მაგრამ ადგილობრივი საჭიროებებისთვის არასაკმარისი, უნდა შეეცადონ მათი ციხის ფართის რაციონალური განაწილების მიღწევას.

3. დებულება უნდა გაიწეროს საზოგადოებრივი სანქციისა და ზომის შესაბამის რაოდენობაზე, რომელიც სავარაუდოდ შეფასდება მკაცრ პირობებში; პროკურორებსა და მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ მათი შეძლებისდაგვარად ფართოდ გამოყენების შესაძლებლობა.

4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ გარკვეული დანაშაულების დეკრიმინალიზაციის ან მათი ხელახლა კვალიფიცირების შესაძლებლობები ისე, რომ სანქციებად არ ხდებოდეს თავისუფლების აღკვეთის გამოყენება.

5. იმისათვის, რომ მოხდეს შესაბამისი სტრატეგიის განსაზღვრა ციხის გადატვირთულობის და ციხის მოსახლეობის გაზრდის საწინააღმდეგოდ, უნდა ჩატარდეს დეტალური ანალიზი ძირითადი ფაქტორების თაობაზე, რომელიც ძირითადად შეეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა დანაშაულის სახეები, რომლებსაც სასჯელად მოყვება გრძელვადიანი პატიმრობა, დანაშაულის კონტროლის პრიორიტეტები, საზოგადოების პოზიცია და მისი წუხილი და არსებული სასჯელის მისჯის პრაქტიკა.

### **II. ციხის ადგილების სიმცირესთან გამკლავება**

1. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული გადატვირთულობის გადაჭარბებული დონეები, უნდა განისაზღვროს სასჯელაღსრულების ინსტიტუტების მაქსიმალური შესაძლებლობები.

2. როდესაც დგას გადატვირთულობის პრობლემა, ყურადღება უნდა გამახვილდეს ადამიანურ ღირსებაზე, ციხის ადმინისტრაცია უნდა ისწრაფვოდეს გამოიყენოს ადამიანური და

პოზიტიური მოპყრობა, მოახდინოს პერსონალის როლის სრული აღქმა და დანერგოს ეფექტური თანამედროვე მენეჯმენტის მიდგომები. ევროპული ციხის წესების შესაბამისად კონკრეტული ყურადღება უნდა მიექცეს პატიმრებისათვის არსებული ფართის რაოდენობას, ჰიგიენასა და სანიტარიას, საკმარის და კარგად მომზადებულ და მიწოდებულ საკვებს, პატიმრების ჯანმრთელობის დაცვას და შენობის გარეთ ვარჯიშის შესაძლებლობებს.

3. იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ციხის გადატვირთულობის ნეგატიურ შედეგებს, შეძლებისდაგვარად ხელი უნდა შეეწყოს პატიმრების კონტაქტს ოჯახებთან და უნდა იყოს საზოგადოების მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა.

4. საპყრობილეში თავისუფლების აღკვეთის სასჯელების განსაკუთრებული მოდალობები, როგორებიცაა: ნახევრად თავისუფლების აღკვეთა, ღია რეჟიმები, ციხის დატოვების უფლება თუ საპატიმროში დამატებითი მოთავსება, შეძლებისდაგვარად უნდა გამოიყენებოდეს პატიმრების მკურნალობისა და ხელახალი დასახლების მიზნით, მათი ოჯახებისა და სხვა საზოგადოებრივი ძაფების შესანარჩუნებლად და სასჯელსრულების ინსტიტუტებში დამაბულობის შესამცირებლად.

### **III. წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებული ზომები სისხლისსამართლებრივი პროცედურის თავიდან აცილება - წინასწარ დაკავებაში დაბრუნების შემცირება**

1. უნდა გატარდეს შესაბამისი ზომები, რეკომენდაციაში No (87) 18 სისხლის სამართლის გამარტივების თაობაზე ჩადებული პრინციპების სრული იმპლემენტაციის თვალსაზრისით, კერძოდ, ამაში შეიძლება იგულისხმებოდეს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა, როდესაც მხედველობაში მიიღებენ თავიანთ კონსტიტუციურ პრინციპებსა თუ სამართლებრივ ტრადიციებს, მიმართონ დისკრეციული დევნის პრინციპს (ან ზომებს, რომელთაც აქვთ იგივე მიზნები) და გამოიყენონ გამარტივებული პროცედურები და სასამართლოს გარე გადაწყვეტილებები, როგორც შესაბამის საქმეებში დევნის ალტერნატივა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სრული სისხლისსამართლებრივი პროცედურები.

2. წინასწარი დაკავების გამოყენება და მისი ხანგრძლივობა უნდა შემცირდეს მინიმუმამდე სამართლიანობის ინტერესების შესაბამისად. ამ მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი კანონმდებლობა და პრაქტიკა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციისა და მისი მაკონტროლობელი ორგანოების პრეცედენტული სამართლის დებულებებს და რეკომენდაციაში No (80) 11 საპყრობილეში წინასწარი დაკავების თაობაზე, კერძოდ, წინასწარი დაკავების საფუძვლებს, გათვალისწინებულ პრინციპებს.

3. უნდა მოხდეს წინასწარი დაკავების ალტერნატიული ზომების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენება, როგორებიცაა, მაგალითად, ეჭვმიტანილი დამნაშავის მიმართ მოთხოვნა, იცხოვროს ერთ კონკრეტულ მისამართზე, კონკრეტულ ადგილას მისვლის ან იქიდან წამოსვლის შეზღუდვა ნებართვის გარეშე, დებულების გაწერა გირაოსთვის ან სასამართლო ხელისუფლების მიერ განსაზღვრული წარმომადგენლის ზედამხედველობისა და/ან დახმარებისათვის. ამის თაობაზე ყურადღება უნდა მიექცეს შესაძლებლობას, მოეთხოვოს

დამნაშავეს, იყოს ერთ განსაზღვრულ ადგილას ელექტრონული დასაკვირვებელი ხელსაწყოების მეშვეობით.

4. იმ მიზნით, რომ მოხდეს წინასწარი დაკავების ეფექტურად და ადამიანურად გამოყენებაში დახმარება, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადეკვატური ფინანსური და ადამიანური რესურსები და შესაბამისი პროცედურული საშუალებები და საჭიროებისამებრ უნდა განვითარდეს მენეჯერული ტექნიკები.

#### IV. სასამართლოსთან დაკავშირებული ზომები

##### სანქციების/ზომების სისტემა - სასჯელის ხანგრძლივობა

1. ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს თავისუფლების აღკვეთის სანქციისადმი დაბრუნების შემცირებისაკენ, მათ შორის გრძელვადიანი პატიმრობისადმი, რომელიც მძიმე ტვირთს დებს ციხის სისტემაზე და საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომებისაკენ, რომლებმაც უნდა ჩაანაცვლონ მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის სასჯელები.

2. საზოგადოებრივი სანქციებიდან და ზომებიდან, რომელთა გამოყენებაც შეიძლება მოხდეს პატიმრობის სანქციის ნაცვლად, განხილულ უნდა იქნეს შემდეგი:

- დაკისრებული პირობების პატიმრობის სასჯელის აღსრულების შეწყვეტა;

- პრობაცია, როგორც დამოუკიდებელი სანქცია, რომლის დაკისრებაც მოხდება პატიმრობის თაობაზე სანქციის გამოტანის გარეშე;

- მაღალი ხარისხის ზედამხედველობა;

- საზოგადოებრივი შრომა (მაგალითად, აუნაზღაურებელი შრომა საზოგადოების სახელით);

- მკურნალობის ბრძანება/სპეციალური კატეგორიის დამნაშავეების კონტრაქტის საფუძველზე მკურნალობა;

- მსხვერპლისა და დამნაშავეს შორის შუამავალი/მსხვერპლის კომპენსირება;

- გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, მაგალითად, ხელბორკილების ბრძანებით ან ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით. 16. საზოგადოებრივი სანქციები და ზომები შეიძლება დაკისრებულ იქნეს საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების ევროპული წესებით გათვალისწინებული გარანტიებისა და პირობების შესაბამისად.

3. საპყრობილისა და არასაპყრობილის სანქციებისა და ზომების კომბინაცია შეიძლება ჩაიდოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, როგორცაა: უწყვეტი საპატიმრო სასჯელები, რომლებიც გრძელდება საზოგადოებრივი შრომით, (ინტენსიური) ზედამხედველობა საზოგადოებაში, ელექტრონულად მეთვალყურეობა, გაწეული შიდაპატიმრობა ან შესაბამის შემთხვევებში მკურნალობის გავლის ვალდებულება.

## **სასჯელის მისჯა და პროკურორებისა და მოსამართლეების როლი**

1. კანონის გამოყენებისას პროკურორები და მოსამართლეები უნდა შეეცადონ მხედველობაში იქონიონ ხელმისაწვდომი რესურსები, კერძოდ კი, ციხის შესაძლებლობები. ამასთან დაკავშირებით განგრძობადი ყურადღება უნდა მიექცეს იმ გავლენის შეფასებას, რომელიც არსებული სასჯელების სტრუქტურას და დაგეგმილ სასჯელის პოლიტიკას აქვს ციხის მოსახლეობის გაზრდაზე.
2. პროკურორები და მოსამართლეები უნდა ჩაერთონ სისხლის სამართლის პოლიტიკის დაგეგმვაში ციხის მოსახლეობის ზრდასთან და ციხის გადატვირთულობასთან დაკავშირებით, იმ აზრით, რომ გამოხატონ საკუთარი მხარდაჭერა და თავიდან აიცილონ საწინააღმდეგო შედეგის მომცემი სასჯელების პრაქტიკა.
3. სასჯელთან დაკავშირებული საკითხები უნდა განსაზღვროს კანონმდებელმა ან სხვა კომპეტენტურმა ხელისუფლებამ იმის გათვალისწინებით, რომ, ინტერ ალია, შემცირდეს პატიმრობის გამოყენება, გავრცელდეს საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების და სხვა ზომების გამოყენება, როგორცაა, მაგალითად, შუამავლობა ან მსხვერპლისათვის კომპენსაციის გადახდა.
4. კონკრეტული ყურადღება უნდა მიექცეს დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ ფაქტორებს, ისევე როგორც სწორი სასჯელის გამოსატანად გადაწყვეტილების მიღებისათვის გათვალისწინებული იქნება ადრე ჩადენილი დანაშაულები.

## **V. სასამართლოს შემდგომი ზომები**

### **საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების იმპლემენტაცია - საპატიმრო სასჯელების აღსრულება**

1. იმისათვის, რომ საზოგადოებრივი სანქციები და ზომები გახდეს სანდო ალტერნატივა მოკლევადიანი პატიმრობისათვის, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ეფექტური იმპლემენტაცია, კერძოდ, შემდეგის მეშვეობით:
  - ინფრასტრუქტურის შექმნა საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების აღსრულებისა და მონიტორინგისათვის. ჩამონათვალში არც თუ უკანასკნელი უნდა იყოს მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის მათს ეფექტურობაში დარწმუნების შესაძლებლობის მიცემა; და
  - რისკის განმსაზღვრელი და რისკის შესაფასებელი ტექნიკის განვითარება და გამოყენება, ისევე როგორც სტრატეგიების ზედამხედველობა, დამნაშავის მიერ რეციდივის რისკის იდენტიფიცირების და საზოგადოების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით.
2. ხელი უნდა შეეწყოს იმ ზომების განვითარებას, რომლებიც შეამცირებენ არსებული სასჯელის მოხდის ვადებს, რომლის დროსაც უპირატესობა მიეცემა ინდივიდუალიზებულ ზომებს, როგორებიცაა ადრეული პირობით ვადამდე გათავისუფლება, ვიდრე კოლექტიურ ზომებს ციხის გადატვირთულობის მენეჯმენტისას (ამნისტია, კოლექტიური შეწყალება).

3. პირობით ვადამდე გათავისუფლება მიჩნეულ უნდა იქნეს როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და კონსტრუქციული ზომა, რომელიც არა მარტო ამცირებს პატიმრობის ვადას, არამედ არსებითი წვლილი შეაქვს საზოგადოებაში დამნაშავეს დაგეგმილ დაბრუნებას.

4. პირობით ვადამდე გათავისუფლების გამოყენების ხელშეწყობისა და გავრცელებისათვის საზოგადოებაში უნდა არსებობდეს დახმარებისა და ზედამხედველობის მექანიზმები იმისათვის, რომ კომპეტენტურმა სასამართლო და ადმინისტრაციულმა ხელისუფლებამ ეს ზომები მიიჩნიოს ღირებულად და საპასუხისმგებლოდ.

5. უნდა დაიგეგმოს და დაინერგოს დაკავებისას და გათავისუფლების შემდეგ მკურნალობისა და ზედამხედველობის ეფექტური პროგრამები იმ მიზნით, რომ გამარტივდეს დამნაშავეების ხელახალი დასახლება, შემცირდეს რეციდივი, უზრუნველყოფილ იქნეს საჯარო უსაფრთხოება და დაცვა, დაარწმუნოს მოსამართლეები და პროკურორები, რომ ზომები, რომელთა მიზანიც არის არსებული ვადის შემცირება, ასევე საზოგადოებრივი სანქციები და ზომები, არის კონსტრუქციული და საპასუხისმგებლო.